

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭავაძის სახელობის

კიბერნეტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ერკვეოდეს:

- ✓ სამეცნიერო კვლევის განვითარების პრობლემებსა და მიმართულებებში;
- ✓ მეცნიერების შესაბამის დარგების მიღწევებში;
- ✓ სამეცნიერო კვლევა-ძიების ორგანიზებისა და ჩატარების თანამედროვე მეთოდებში და საშუალებებში.

მთავარ მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 3 მაინც – საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემაში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში;

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი უნდა ფლობდეს:

- ✓ ინფორმაციას მის თემატიკაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევა-ძიების შესახებ;
- ✓ კვლევა-ძიების ორგანიზების თანამედროვე მეთოდებს და საშუალებებს.

უფროს მეცნიერ თანამშრომელს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში:

გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 სამეცნიერო ნაშრომისა (მონოგრაფია ან/და სტატია სამეცნიერო ჟურნალში), რომელთაგან 1 მაინც – საერთაშორისო მასშტაბით რეცენზირებად და რეფერირებად (მაგ., Elsevier scopus, Web of Science და სხვა ბაზებში განთავსებულ) გამოცემაში ან/და საერთაშორისო კონფერენციის შრომებში.

მეცნიერი თანამშრომელი

მეცნიერმა თანამშრომელმა უნდა იცოდეს:

- ✓ მისი მონაწილეობით მიმდინარე კვლევა-ძიების მიზნები და ამოცანები;
- ✓ ინფორმაცია ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევის შესახებ;
- ✓ მიღებული ინფორმაციის დამუშავების, განზოგადების და კვლევის ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.